ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ანაზღაურებად სტაჟირებას
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრში

ფუნქცია-მოვალეობები
ფაკულტეტზე მიმდინარე პროცესების მხარდაჭერა:

- სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება;
- სატელეფონო და ზეპირი კონსულტაციების გაწევა;
- საინფორმაციო ცენტრის კოორდინატორის ასისტირება;
- სტუდენტთა ცნობების გაფორმება და ბაზაში აღრიცხვა;
- სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
- ფაკულტეტზე მიმდინარე სხვა პროცესების მხარდაჭერა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი;
- კომპიუტერული უნარ-ჩვევები.

ქცევითი კომპეტენციები:
- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ქართულად გამართული წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
- ახალ ინფორმაციასთან/გამოწვევებთან გამკლავების უნარი;
- დეტალებსა და შედეგზე ორიენტაციის უნარი;
- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- კონფიდენციალურობის დაცვა;
- შემჭიდროებულ ვადებში მუშაობის უნარი;
- ეთიკურობა და კეთილსინდისიერება.

სამუშაო პირობები:

სამუშაო ადგილი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №32 (მონიტორინგის პროცესი მოიცავს ილიაუნის ყველა სასწავლო შენობას);

ფაკულტეტი: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი;

სამუშაო გრაფიკი: ნახევარი, ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, კვირაში არაუმეტეს 20 საათისა; სამუშაო და დასვენების დღეები შეთანხმდება უშუალო ხელმძღვანელთან;

სტაჟირების ხანგრძლივობა: 2025 წლის 15 სექტემბრიდან 15 დეკემბამდე;

ანაზღაურება: თვეში 300 ლარი (დარიცხული).

გაიცემა ორენოვანი სერტიფიკატი;
გთხოვთ, გამოაგზავნოთ თქვენი CV და პირადობის მოწმობის ასლი **2025 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით** ელფოსტაზე: admin.artsci@iliauni.edu.ge და შეავსოთ კითხვარი ამ ბმულზე.

აპლიკაციის გამოგზავნისას წერილის სათაურში მიუთითეთ: სტაჟიორების კონკურსი

კონკურსი წარიმართება 2 ეტაპად:
1. წარმოდგენილი დოკუმენტებისა და შევსებული კითხვარის განხილვა;
2. გასაუბრება ZOOM-ის საშუალებით.

ყურადღება: დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს!

თქვენ მიერ ვაკანსიის ფარგლებში ჩვენთვის CV-ისა ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი სხვა დოკუმენტის წარდგენით

აცხადებთ თანხმობას შერჩევის პროცესში დაწესებულების მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების ფლობასა და დამუშავებაზე „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2025